



საჩუქრადგანთ წერიდი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური
ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების
ხელმძღვანელობას**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური
ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდის ნაერთი (კონსოლიდირებული)
ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს
ბატონ თორნიკე რიჟვაძეს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით გაბაიძეს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ პარმენ ჯალაღონიას

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს
ბატონ ჯაბა ფუტყარაძეს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრს
ქალბატონ მაია ხაჯიშვილს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს
ქალბატონ ნინო ნიჟარაძეს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ზაზა შავაძეს

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, შედეგად გაიცა პირობითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

პატივისცემით,

ზაზა შეყილაძე

საქართველოს გენერალური აუდიტორის
მოადგილე

ტერმინები და შემოკლებები	2
1. რეკომენდაციები	3
2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები	6
3. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის საკითხები	7
4. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა	10
საკონტაქტო ინფორმაცია	12

ტერმინები და შემოკლებები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება.

ინსტრუქცია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქცია.

სსბასს – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (IPSAS).

მთავრობა – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

საბიუჯეტო ორგანიზაცია – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაცია.

სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრო.

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

ა(ა)იპ – არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი.

1. რეკომენდაციები

1.1 მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები

აუდიტის მიგნება N1

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის ასახული საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები, რომლებიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაა, სარგებლობაში პირველადი გადაცემა არ განხორციელებულა და არ არის შეფასებული. კანონმდებლობის შესაბამისად,¹ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელით ფლობს, მართავს და განკარგავს ქონებას და ახორციელებს ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებულ სხვა უფლებამოსილებებს. შესაბამისად, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე უნდა აღირიცხოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ყველა ქონება, რომლის სარგებლობაში პირველადი გადაცემა არ განხორციელებულა. სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში არ ირიცხება 1,400 ერთეულზე მეტი მიწის ნაკვეთი და სხვა უძრავი ქონება, რომელიც სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით,² აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაა და არ არის შეფასებული.

აუდიტის მიგნება N2

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში „დაუმთავრებელი მშენებლობის“ ანგარიშზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია 670,209 ლარის ღირებულების დაუმთავრებელი აქტივი, რომელზეც 2017-2018 წლებიდან ბრუნვა არ ყოფილა.

აღნიშნული აქტივი 2017-2018 წლებში შესრულებული საპროექტო სამუშაოს ღირებულებაა, რომლის დაფინანსება მიმდინარე წლის ბიუჯეტითაც არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, აღნიშნული არაფინანსური აქტივიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა აუდიტის თარიღისთვის არ არის განსაზღვრული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის ბალანსზე ასახული „სხვა არაფინანსური აქტივების“ ნაშთი, შესაძლოა მოიცავდეს ისეთ დაუმთავრებელ აქტივებს, საიდანაც მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება ნაკლებად სავარაუდოა. შესაბამისად, ისინი შესაძლოა არ აკმაყოფილებდეს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

მიზეზი

აქტივების მართვაში არსებული ხარვეზები.

გავლენა

ანგარიშგების „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, სამინისტროს აპარატმა სსბასს 21-ის მიხედვით, ჩაატაროს გაუფასურების ტესტი და განსაზღვროს აქტივის ბალანსზე აღრიცხვის მიზანშეწონილობა. ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონება აღრიცხოს სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

¹ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.

² სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 19 ივლისის წერილი N 153957.

1.2 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება გრძელვადიანი ფინანსური აქტივები 1,424,312 ლარის ოდენობით, რომელიც აღრიცხულია ანგარიშზე – „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“. აღნიშნული თანხა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალში განხორციელებული ფულადი/ქონებრივი შენატანებია.

საჯარო სექტორის კომერციულ ერთეულებში არსებული წილების ასახვის მიზნით გამოიყენება კაპიტალ-მეთოდი.³ ასევე, სსბასს 36-ში „ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობებში“ – კაპიტალ-მეთოდი გულისხმობს წილობრივი მონაწილეობის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას მეკავშირე ერთეულის ან ერთობლივი საქმიანობის „წმინდა აქტივებში/კაპიტალში“ ინვესტორის კუთვნილ წილში შეძენის შემდგომ მომხდარი ცვლილების შესაბამისად.⁴

სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში მუხლში „ინვესტიციები წილობრივი ინსტრუმენტები“ თავდაპირველად აღრიცხული თანხა არ არის შეცვლილი იურიდიული პირების საქმიანობის წლიური ფინანსური შედეგების გათვალისწინებით.

აღნიშნულის გამო ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ ანგარიშის საბოლოო ნაშთის სისწორესა და სისრულეზე. აღსანიშნავია, რომ მაკონტროლებელი ერთეულების მიერ არ არის გატარებული ქმედითი ღონისძიებები ფინანსური ანგარიშგების მონაცემების ფაქტობრივ მდგომარეობასთან მისადაგების მიმართულებით, რაც აქტივების მართვაში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს.

მიზეზი

აქტივების მართვაში არსებული ხარვეზები.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები.

რეკომენდაცია

სამინისტრომ განიხილოს კომპანიებში არსებული წილების ერთჯერადად სამართლიანი ღირებულებით შეფასების საკითხი ან საიმედო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, კომპანიებში წილობრივი ინსტრუმენტების საბოლოო

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის მუხლი 10, პუნქტი 46.

⁴ სსბასს 36, მუხლი 8 განმარტებები.

ნაშთი დააკორექტიროს წინა წლებში არსებული თანხობრივი, ქონებრივი და წილობრივი შენატანებით, ხოლო შემდგომ გაითვალისწინოს კაპიტალ-მეთოდის მოთხოვნები.

**კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

1.3 ინვენტარიზაცია

აუდიტის მიზნება

ინვენტარიზაცია არის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული აქტივების/ვალდებულებების, ასევე განმარტებით შენიშვნებში ან/და საცნობარო ანგარიშებზე ასახული არასაბალანსო კატეგორიების ფაქტობრივი ნაშთების შედარება ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებთან.⁵ ინვენტარიზაცია კონტროლის მექანიზმია, რომლის მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი აქტივების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია იმაში დასარწმუნებლად, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება რეალურად არსებობს და ამასთანავე, ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა აქტივი სრულად არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. ინვენტარიზაციის სრულყოფილად განხორციელება მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისთვის, აქტივების ეფექტიანი განკარგვისა და შიდა კონტროლის გასაუმჯობესებლად. საბიუჯეტო ორგანიზაციებში 2022 წელს ჩატარებულ ინვენტარიზაციის პროცესს ახლდა გარკვეული ნაკლოვანებები, მაგალითად:

- ა) ა(ა)იპ – აგროსერვის ცენტრის საინვენტარიზაციო მასალებში მითითებული აქტივების ადგილსამყოფელი და მდგომარეობა არ ასახავს რეალობას, ასევე არ არის მინიჭებული საინვენტარო ნომერი ან შტრიხკოდი, ხოლო მატერიალურად პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა ფორმალური ხასიათისაა.
- ბ) ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ არ ჩატარებულა იმ უძრავი ქონების ინვენტარიზაცია, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაა და სარგებლობაში პირველადი გადაცემა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ იყო განხორციელებული.

მიზეზი

შიდა კონტროლის სისტემის სისუსტე; ფინანსური/არაფინანსური აქტივების მართვაში არსებული ნაკლოვანებები.

გაგლეწა

ინვენტარიზაცია არის კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი აქტივების იდენტიფიცირებას.

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N364 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მუხლი 1, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელმძღვანელობამ, მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე, უზრუნველყოს ორგანიზაციის ბალანსზე აღრიცხული აქტივების ინვენტარიზაციის ჩატარება, შედეგების შეფასება და ბუღალტრული აღრიცხვა.

კომპონენტები, რომლებზეც

სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

გაიცა რეკომენდაცია

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

შესასრულებლად

2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

2.1 გასაყიდად გამოზნული გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების“ 97% ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის აქტივებია. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის ბალანსზე აღრიცხულია 5,935,687 ლარის ღირებულების მიწა და შენობა-ნაგებობები, რომლებიც 2022 წლის 31 დეკემბრამდე პრივატიზებულია ან გადაცემულია უვადო სარგებლობაში/საკუთრებაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებისთვის. შესაბამისად, აღნიშნული აქტივები არ უნდა ირიცხებოდეს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის და შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.⁶

კომპონენტი, სადაც

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

გამოვლინდა დარღვევა

2.2 სხვა არაფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში „დაუმთავრებელი მშენებლობა“ 2022 წლის ბოლოსათვის შეადგენს 20,207,475 ლარს. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 5,031,043 ლარის აქტივები ფაქტობრივად დასრულებულია და შესულია ექსპლუატაციაში, თუმცა ისინი შესაბამის მუხლებში არ არის გადანაწილები, კერძოდ, 2,893,363 ლარი დასრულებული გზების/ხიდების მშენებლობაა, 948,738 ლარი – განხორციელებული საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულება, ხოლო 1,188,942 ლარი – ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯები.

დაუმთავრებელი წარმოების მუხლში აღრიცხვის გამო აღნიშნულ აქტივებს არ ერიცხებათ ცვეთის ხარჯი.

შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივის“ მუხლი 5,031,043 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივის“ მუხლის არასწორი აღრიცხვა ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯების არასწორ ასახვას

⁶ აღნიშნული ქონებები აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში სამინისტროს მიერ მოხსნილი იქნა ბალანსიდან რეტროსპექტულად.

იწვევს, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს (ფინანსური შედეგების ანგარიშგება) მუხლის „წმინდა აქტივი/კაპიტალი“ სისწორეზე.

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

2.3 შემოსავლები გრანტებით

აუდიტის მიგნება

ა(ა)იპ – აგროსერვის ცენტრის ფინანსურ ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემოსავლები გრანტებით ირიცხება 1,000,086 ლარი, საიდანაც 198,754 ლარი საქართველოში იაპონიის საელჩოს გრანტია. საგრანტო ხელშეკრულების⁷ ფარგლებში ა(ა)იპ – აგროსერვის ცენტრი ვალდებული იყო ერთი წლის⁸ განმავლობაში მოეწყო მანდარინის სათბურ-იზოლატორები. ხელშეკრულების თანახმად, მისი შეწყვეტის, ასევე პირობების დარღვევის ან თანხის გამოუყენებლობის შემთხვევაში, თანხა უბრუნდებოდა გრანტის გამცემს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გრანტის ფარგლებში მიღებული თანხა მხოლოდ ვალდებულებების შესრულების შემდგომ ექვემდებარებოდა შემოსავლებად აღიარებას.

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

ა(ა)იპ – აგროსერვის ცენტრი.

3. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის საკითხები

3.1 სააღრიცხვო პოლიტიკა

აუდიტის მიგნება

სსბასს 3 – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“-ს თანახმად, სააღრიცხვო პოლიტიკა ერთეულის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს გამოყენებული გარკვეული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობაა.⁹ სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

⁷ საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდა 2022 წლის 22 მარტს.

⁸ ვადა გაგრძელებულია 2023 წლის 31 აგვისტომდე.

⁹ სსბასს 3, მუხლი 7, განმარტებები.

	საბიუჯეტო ორგანიზაციებს არ აქვთ შემუშავებული და დანერგილი საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა იწვევს არათანმიმდევრულ აღრიცხვიანობას და ზრდის ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული უზუსტობების რისკს.
კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა	უმაღლესი საბჭოს აპარატი. უმაღლესი საარჩევნო კომისია. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

3.2 ცვეთა/ამორტიზაცია

აუდიტის მიგნება	„საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის“¹⁰ თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაცია ვალდებულია განსაზღვროს აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ერთეულის მიერ ცვეთადი/ამორტიზებადი აქტივის გამოყენება ან პროდუქციის ან მსგავსი ნაწარმის რაოდენობა, რომლის მიღებაც მოსალოდნელია ერთეულის მიერ მოცემული აქტივის გამოყენებით.¹¹ სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ასევე მნიშვნელოვანია ცვეთადი/ამორტიზებადი აქტივების ღირებულების სისტემატური განაწილებისათვის. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების ინვენტარიზაციის დროს არ არის გადასინჯული ძირითადი და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები, ხოლო ცვეთის დარიცხვა განხორციელდა წინა პერიოდში მოქმედი წესის¹² შესაბამისად, პროცენტების დარიცხვით.
კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

3.3 ტრანსპორტის ხარჯები

აუდიტის მიგნება	ხაზინის მონაცემებით, 2022 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გაწეულმა ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის საკასო ხარჯმა შეადგინა 13,211,534 ლარი, მათ შორის, საწვავ-საპოხი მასალების
-----------------	--

¹⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის ბრძანება N289.

¹¹ „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის“ მუხლი 2, პუნქტი 1, „ვ“ ქვეპუნქტი.

¹² „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანება - ძალადაკარგულია 2021 წლის 1 იანვრიდან.

შემენის ხარჯი შეადგენს 3,980,912 ლარს, ხოლო ექსპლუატაციის, სათადარიგო ნაწილების და მათი რემონტის ხარჯები – 2,718,480 ლარს.

მოქმედი რეგულაციებით, სამსახურებრივ მივლინებად ითვლება დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით მოსამსახურის გამგზავრება. ამასთანავე, ტრანსპორტთან დაკავშირებული ხარჯების ანალიზი ცხადყოფს, რომ რიგ შემთხვევებში სათანადო დოკუმენტური საფუძვლების გარეშე გაცემული საწვავი აღიარებულია ხარჯად, კერძოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე რვა შემთხვევაში, შესაბამისი უფლებამოსილი პირი არ იმყოფებოდა მივლინებაში, თუმცა ავტომანქანა დაფიქსირებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ და ჩასხმულია ჯამში 405 ლიტრი, 1,467 ლარის ღირებულების საწვავი. აღნიშნულ შემთხვევებზე შესაბამისმა უწყებამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტური დადასტურება ავტომობილის სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული კი საწვავის ხარჯვაზე დაწესებულ კონტროლის მექანიზმების სისუსტეზე მიუთითებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი.

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

4. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნების სრულ ინვენტარიზაციას, ურთიერთშედარების აქტების გაფორმებას, დებიტორების რეალობისა და დაფარვის ალბათობის შეფასებას, ასევე დავალიანებების ამოღების პროცესის დაჩქარებასა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი

შესრულებული.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია შემუშავდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედ კომპანიებში არსებული წილების აღრიცხვის პოლიტიკა. კერძოდ, სამინისტრომ განიხილოს კომპანიებში არსებული წილების ერთჯერადად სამართლიანი ღირებულებით შეფასების საკითხი ან საიმედო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, კომპანიებში წილობრივი ინსტრუმენტების საბოლოო ნაშთი დააკორექტიროს წინა წლებში არსებული თანხობრივი, ქონებრივი და წილობრივი შენატანებით, მათ შორის, გადახდისუუნარობის/გაკოტრების საქმის წარმოების შედეგების გათვალისწინებით და გაითვალისწინოს კაპიტალ-მეთოდის მოთხოვნები.

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი

ნაწილობრივ შესრულებული.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, სამინისტროს აპარატმა სსბას 21-ის მიხედვით, ჩაატაროს გაუფასურების ტესტი და განსაზღვროს აქტივის ბალანსზე აღრიცხვის მიზანშეწონილობა. ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონებებთან დაკავშირებით გააკეთოს შესაბამისი შეფასებები, დააკლასიფიციროს და აღრიცხოს სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი

ნაწილობრივ შესრულებული.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, საბიუჯეტო ორგანიზაციებმა არამატერიალური აქტივები დააკლასიფიცირონ როგორც განსაზღვრული და განუსაზღვრელი მომსახურების ვადების მქონე აქტივები და განუსაზღვრელი სასიცოცხლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებზე ყოველწლიურად ჩაატარონ გაუფასურების ტესტირება.

რეკომენდაციის შესრულების
სტატუსი შესრულებული.

რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელმძღვანელობამ, მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე, უზრუნველყოს ორგანიზაციის ბალანსზე აღრიცხული უძრავი ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება, შედეგების შეფასება და ბუღალტრული აღრიცხვა.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.

საკონტაქტო ინფორმაცია

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელ პირი	ირაკლი ანანიძე ჯგუფის უფროსი ელფოსტის მისამართი: iananidze@sao.ge
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა	https://aris.sao.ge/
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE